

საქართველოს პრეზიდენტს

ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ,

ჩვენ, ქვემოთ ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციები, მოვითხოვთ შეწყდეს საქართველოში გიგანტური და მოსახლეობისა და გარემოსთვის საზიანო ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განხორციელება.

გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმ შედეგებს, რაც შეიძლება მოიტანოს ისეთი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ, როგორცაა ხულონ-ჰესი, დარიალის ჰესი, ნამახვანის, ნენსკრას, ჭოროხისა თუ სხვა ჰესების კასკადი.

ამ პროექტების განხორციელების შედეგად წყლის ქვეშ აღმოჩნდება (ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის) სულ მცირე 2000 ჰექტარი ფართობი: ნაყოფიერი სავარგულები, უძველესი ქართული სოფლები, კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა; გადაგვარდება რიონის, ენგურის, თერგისა და სხვა მდინარეთა ხეობები, განადგურდება აქ არსებული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება; დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო. ეს პროექტები კიდევ უფრო მეტად დააზიანებს ისედაც საგანგაშოდ დაზიანებულ სასიცოცხლო სივრცეს და დააჩქარებს ეკოლოგიურ კატასტროფას საქართველოში.

ამასთან, ამ პროექტების განხორციელება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ფართოდ რეკლამირებული პრინციპით, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობა სიმბოლური ღირებულებით გადასცემს ინვესტორებს ქართულ მიწას, არანაირ სარგებელს არ მოუტანს საქართველოს ბიუჯეტს არც უახლოეს და არც შორეულ მომავალში, ხელს არ შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას; ზარალი კი, კოლოსალური იქნება!

სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის შეფასების პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს და გამოიყენება არა ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ მთავრობის მიერ პროექტების განხორციელების სასარგებლოდ უკვე მიღებული გადაწყვეტილების "დასასაბუთებლად". შესაბამისად, ბუნდოვანი "სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის" პროექტების განხორციელების საჭიროების საბაზით, ილახება აჭარის, სვანეთის, ლეჩხუმის, მთიანეთის თუ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებები.

ვაცხადებთ, რომ ქვეყნისა და მოსახლეობისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილება, ამენდეს თუ არა ესა თუ ის ჰესი, მიღებული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი, სოციალური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა არგუმენტების გათვალისწინებით და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. ამ

პროცესის გარეშე ჰესების პროექტების დაწყების დაანონსება სცილდება როგორც სამართლებრივ, ისე კარგი მმართველობის ფარგლებს.

მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს საქართველოში არსებულ დამღუპველ ტენდენციებს: გარემოსდაცვითი საკითხების სრულ იგნორირებას ყველანაირი, მათ შორის, მასშტაბური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას; როგორც პროექტების უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, ისე თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური გარანტიების - უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და საკუთრების უფლების - ხელყოფას; გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების შელახვას. ამ ტენდენციების გაძლიერება უმძიმეს ზეგავლენას მოახდენს საქართველოს მთიანი რეგიონების სოციალურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და კულტურულ მემკვიდრეობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენერგო-სექტორის დაგეგმვისას წარსულში დაშვებული შეცდომების თავიდან ასაცილებლად და საქართველოს ენერგო-სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მოვითხოვთ:

1. შეწყდეს საქართველოში დაგეგმილი გიგანტური და მოსახლეობისა და გარემოსთვის საზიანო ჰესების მშენებლობის განხორციელებისათვის მიმდინარე სამუშაოები, აგრეთვე შესწავლილ იქნას კანონდარღვევით მიმდინარე (დარიალისა და ჭოროხის) ჰესების მშენებლობის საკითხი.
2. საზოგადოების ფართო მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განიხილავს ყველა რეალისტურ ალტერნატივას (მათ შორის, მცირე ჰიდროსისტემებს, ქარისა და მზის ენერგეტიკას, ბიომასას), რათა შეირჩეს საქართველოს ბუნებისა და მოსახლეობისათვის ყველაზე უმტკივნეულო, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როგორც ეს რეკომენდირებულია კაშხლების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.
3. შესწავლის ჩატარებამდე შეწყდეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ ხუდონ-ჰესის, ნამახვანის ჰესების კასკადისა თუ სხვა პროექტების ლობირება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით.

პატივისცემით,

- | | |
|--|---|
| 1. ნაირა გელაშვილი, კავკასიური სახლი, | 8. ზვიჩა ვაშაყმაძე, ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი |
| 2. ნინო ჩხობაძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები | 9. პაატა ზაქარეიშვილი, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი |
| 3. მანანა ქოჩლაძე, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა | 10. ნანა სუმბაძე, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი |
| 4. ანა გაბრიაძე, უსაფრთხო სივრცე | 11. ზურაბ ფუტკარაძე, ჯანმრთელი სამყარო |
| 5. ლაშა ჩხარტიშვილი, ასოციაცია ლობო | 12. ირინა ფუტკარაძე, საზოგადოებრივი დამცველი |
| 6. ირინა გურჩიანი, მეოხი-2010 | |
| 7. ზაურ ჩართოლანი, სვანეთის ტურიზმის ცენტრი | |

13. ნიკოლოზ მჟავანაძე, ეკოლოგიური სამართლის ცენტრი
14. ოლეგ შატბერაშვილი, ასოციაცია "ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
15. გულიკო შოშიტაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია
16. უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი
17. ნინო ელიზბარაშვილი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
18. მადონა ხარებავა, ასოციაცია „დეა“
19. ალექსანდრე რუსეცკი, სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტი
20. მაკა ჯახუა, ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
21. ირაკლი აბსანძე, არგომედია
22. მალხაზ სალდამე, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
23. ნინო ევეგნიძე, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
24. ნათია გიგიაძე, საზოგადოებრივი კავშირი "სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო"
25. დავით ნარმანია, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
26. ნანული რამიშვილი, პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
27. თემური ვეკუა, ასოციაცია "ეკოტექი"
28. მარიამ ჯორჯაძე, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
29. თამარ ჩუგოშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
30. თამარ უჩიძე, „სამხრეთის კარიბჭე“
31. ნუკრი ყველაშვილი, ახალგაზრდული ალტერნატივა
32. მარიამ ცაცანაშვილი, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
33. ნიკოლას ჰილდიარდ, The Corner House, დიდი ბრიტანეთი
34. ჰუბ სხილე, Both Ends, ნიდერლანდები
35. ალექსეი ზიმენკო, Biodiversity Conservation Center, რუსეთი
36. ანდრეი ზატოკა, International Social-Ecological Union
37. ინგა ზარაფიან, Eco-Lur, სომხეთი
38. რეინა რიხტერი, Urgewald, გერმანია
39. ჰიმანშუ თაკარი, South Asia Network on Dams, Rivers & People, ინდოეთი
40. ელენა კრუგლიკოვა, Russia Social-Ecological Union (RSEU), რუსეთი
41. იარომი კიზოურ, Hnutí DUHA/ Friends of the Earth, ჩეხეთი
42. პეტერ ბოსხარდ, The International Rivers, აშშ
43. ქეით ვოტერს, Crude Accountability, აშშ
44. ლინას ვაინუს, Atgaia Community, ლიტვა
45. ტეოდორა დონზ, Magyar Termeszettvedok Szovetsege, უნგრეთი
46. იან ლოუველ, Banktrack, ნიდერლანდები
47. სონა აივაზიანი, Transparency International, სომხეთი
48. დანიელ პოპოვი, Centre for Environmental Information and Education, ბულგარეთი
49. გენადი კონდარეც, For the Earth, ბულგარეთი
50. ალდა ოზოლა, Latvian Green Movement, ლატვია
51. ანა გოლოვიჩ, Eco-sense, მაკედონია
52. ირინა ჰოლოვკო, National Ecological Center of Ukraine, უკრაინა
53. ანა დვარჯკევიც, Polish Green Network, პოლონეთი
54. ტრინუ ვაბ, Estonian Green Movement, ესტონეთი
55. ონდრეი პრასეკ, Center for Transport and Energy, ჩეხეთი
56. ზვეზდან კალმარი, Center for Ecology and Sustainable Development, სერბეთი